6758

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 15 აგვისტო, 1941 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 33 (192) ფასი 30 კაპ.

## ჰიტლერის გერმანია—ერების ჯალათი

სისხლისმსმელი ობერჯალათი ჰიტლერი და მისი დამქაშები — გერინგი, გებელსი, როზენბერგი და მათი მსგავსი არამზადები თავიანთ, ასე ვსთქვათ, „თეორიულ“ ნაჯღაბნში ამტკიცებენ, თითქოს ომი, ათი და ასი ათასი ადამიანის ყოველდღიურად ამოხოცვა კაცობრიობის ნორმალური მდგომარეობა იყოს, თითქოს ნორმალური იქნება ის, თუ მთელი მსოფლიო, დედამიწაზე მცხოვრები ყველა ერი მსხვერპლად შეეწირება ჩრდილოელ არიულ რასას, ხოლო თვით გერმანელი ხალხი — „რჩეულ არიელთა“ ხროვას.

ნაცისტთა პარტიის ისტორია მართლაც ამ „ნორმალური“ მდგომარეობის დამყარების ისტორიაა. ცეცხლითა და მახვილით ათასეულ მშრომელთა ამოხოცვა, სიღატაკე და შიმშილი, საკონცენტრაციო ბანაკი და სახრჩობელა,— აი რა მისცა ერთი მუჭა არიელ „ზეკაცების“, ე. ი. სისხლისმსმელი ყაჩაღების დიქტატურამ თვით გერმანიის ხალხს, რომელიც, ხელისუფლების სათავეში ამ მიხაკისფერ ავაზაკთა მოქცევის პირველ დღიდანვე, სისხლისაგან იწრიტება, ფიზიკურად და მორალურად ნადგურდება.

დაუნდობელი ჯალათი თავისი საკუთარი ხალხის მიმართ, ჰიტლერი და მისი გაცოფებული ხროვა ობერჯალათად მოევლინა დასავლეთ ევროპის ერებს, თექვსმეტ ევროპულ სახელმწიფოს.

ევროპაში, და არა მარტო ევროპაში, მთელს დედამიწაზე მცხოვრებ არც ერთ ერს თავისი ისტორიის ყველაზე უმძიმეს და უმწარეს პერიოდშიც კი არ განუცდია ისეთი ჯოჯოხეთური უბედურება, როგორიც მიხაკისფერმა ურჩხულმა, ორფეხა ნადირის ალვირახსნილმა დიქტატურამ დაატეხა თავს თავისუფლების მოყვარე ხალხებს. არც ერთი დროისა და არც ერთი ქვეყნის ბარბაროს დამპყრობელს არ გამოუჩენია ჰიტლერისებური მხეცური დაუნდობლობა. ჰიტლერ-ჰიმლერ-გერინგებთან შედარებით თვით აფთარიც კი უმანკო კრავად და უცოდველ ბატკნად გამოიყურება.

ამიტომ არის, რომ თვით ნადირმხეცთა სამეფოშიც კი ძნელია მოიძებნოს ისეთი წყურვილი სისხლისა, რბევისა და განადგურებისა, როგორიც ახასიათებს ჰიტლერ-გებელსის „მორალზე“ აღზრდილსა და გაწვრთნილს ფაშისტურ ურდოებს, რომლებიც ხოცავენ და ქლეტენ, აწიოკებენ და არბევენ მშვიდობიან მოსახლეობას, დიდსა და პატარას, ქალსა და ბავშვს, ასაჭურისებენ ახალგაზრდობას, სწვავენ და ჰშუგავენ ყველაფერს, რაც კი დაპყრობილი ხალხის ეროვნული კულტურის იერს ატარებს, და ყოველსავე ამას სჩადიან იმისათვის, რომ გერმანელ ხალხზე გაბატონებულ „რჩეულ არიელებს“ — ალვირახსნილი, გარყვნილი ცხოვრების საშუალება, განუკითხავი პარპაშის შესაძლებლობა მოუპოვონ მთელს მსოფლიოში.

მალე უკვე ორი წელიწადი შესრულდება მას შემდეგ, რაც დასავლეთ ევროპის კონტინენტზე თარეშობს ამ „იდეოლოგიით“ შეიარაღებული ფაშისტური ურდო, და მისი ორი წლის თარეშის პრაქტიკული შედეგიც ამ „იდეოლოგიის“ შესაფერია:

ყველგან განადგურებული და დარბეული მეურნეობა, ყველგან გადამწვარი და გაჩანაგებული ფაბრიკა-ქარხნები, მოუხნავ-მოუთესავი ყანები, გაპარტახებული ბაღ-ვენახები, მილიონობით მშიერ-მწყურვალნი, ათიათასობით ნამუს-ახდილი დედაკაცები, ასიათასობით დასაჭურისებული ქალ-ვაჟები და ყოველივე ამის შედეგად ნაძარცვ-ნარბევით გასქელებული ჯიბეები „რჩეული არიელებისა“—ჰიტლერ-გერინგ-გებელსებისა.

ასეთი იყო ფაშისტ ჯალათების მიერ ევროპაში დამყარებული „ნორმალური მდგომარეობა“, როცა მათ თავიანთი ურდო მზაკვრულად და მოულოდნელად საბჭოთა მიწა-წყალს შემოუსიეს. მატყუარობის, ცბიერებისა და უტიფრობის ამ უბადლო გროსმეისტერებმა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ ომი კულტურისა და ცივილიზაციის დაცვის ლოზუნგით დაიწყეს, იმ კულტურისა და ცივილიზაციის დაცვის ლოზუნგით, რომლებსაც თვითონ სპობენ და ანადგურებენ და რომლებსაც არასოდეს არა ჰყოლია მიხაკისფერ ჭირზე უფრო დაუნდობელი მტერი. ალვირახსნილი დემაგოგობისა და ქამელეონობის ამ არიელმა ჩემპიონებმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოცხადებულ თავიანთ ჯვაროსნულ ომს წინ წარუმძღვარეს სლავების ამოწყვეტის ლოზუნგი. არავითარ ჯოჯოხეთურ საშუალებას არ ერიდებიან და არ გაურბიან, რომ მართლაც ამოწყვიტონ დაკავებული ბელორუსული და უკრაინული ტერიტორიის ნაწილზე ბელორუსი და უკრაინული მკვიდრი მოსახლეობა. ცეცხლი და მახვილი, ბავშვებისა და ქალების მასობრივი ხოცვა—აი ის ნაცადი იარაღი, რომლითაც ფაშიზმი ლამობს გაანადგუროს საბჭოთა ხალხები. ასეთია ფაშისტ ჯალათების სისხლიანი პრაქტიკა იმ ადგილებში, რომლებიც მათ დაიკავეს.

მაგრამ უკვე მოახლოვდა ფაშისტური ველურობის აღსასრულის დასაწყისი. უკვე დათვლილია ჩვენს მიწა-წყალზე და მთელ ევროპაში მიხაკისფერი ჭირის ბარბაროსული თარეშის უკანასკნელი დღეები. კეთროვანი ფაშიზმი მალე თავათ ჩაიფერფლება იმ ხანძარში, რომელიც მან ჩვენს მიწა-წყალზე დაანთო. ამის თავდებია ჩვენი წითელი არმიის სწორუპოვარი გმირობა და სიმამაცე, ომის წარმოების მისი შესანიშნავი ტაქტიკა, ამის თავდებია საბჭოთა ხალხების მორალურ-პოლიტიკური სიმტკიცე, ამის თავდებია გმირული წითელი არმიის მთავარსარდლის დიდი **სტალინის** გენიალური სტრატეგია, ამის თავდებია გაერთიანებული ძალა სამასმილიონიანი სლავი ხალხებისა, რომელთა მრისხანე ხმამ მოსკოვში გამართულ მიტინგზე თავზარი დასცა ფაშისტურ გერმანიას, დასასრულ, ამის თავდებია დასავლეთ ევროპის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის ხალხთა, მთელი მოწინავე კაცობრიობის ძლევამოსილი ლაშქრობა მიხაკისფერი ჭირის—ჰიტლერიზმის მოსასპობად.

## ს ა მ შ ო ბ ლ ო

**დავით სულიაშვილი**

ის მეძახის და მე მივდივარ!

მესმის მისი ხმა და ჩემი გული სძგერს.

ვგრძნობ მის თრთოლვას და ჩემი კუნთები დაიჭიმებიან...

რა მძლავრი, რა წარმტაცი ყოფილა შენი ძახილი, ჩემო სამშობლოვ!

შენ მიხმობ და მეც მზადა ვარ!

შენს მრისხანე თვალებს ვუმზერ და თრთის ჩემი სხეული. შენს ტკივილებს ვგრძნობ და მიტაცებს უხილავი ძალა, — გარს შემოგევლო, დაგენაცვლო, შენს წყლულებს მალამოდ დავედო...

მოვდივარ, — მო.....

ოო!.. ტკბილი ყოფილა შენი ძუძუ, შენი მთები და ანკარა წყაროები...

რა აღმაფრთოვანებელია ყიჟინა ახალგაზრდა ხმებისა, შენს დასაცველად რომ გაისმის.

რა წარმტაცია მაღლა აზიდული მუშტები, მტრის დასარტყმელად რომ შეკუმშულა.

რა ლამაზია მფრინავი, შენი კეთილდღეობისთვის კამარაში ღრუბლებს რომ გაკვრია.

და ვფიცავ, ჩემო დიდებულო, შენს მაღალ მთებს, მღელვარე მდინარეებით დასერილს, ვფიცავ წინაპარ გმირთა აკლდამებს, ვფიცავ მათ მიერ დატოვებულ ანდერძის ძალას, რომ შენს თავისუფლებას შევწირო ჩემი აღგზნებული გული...

ვფიცავ სტალინის სახელს, მის ბრძნულ გამჭრიახობას, — შევწყვიტო ფიქრი ყოველივეზე, გარეშე შენზე ზრუნვისა, შენი დაცვისა და კვლავ აყვავებისა...

ახლა ,როცა საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა გმირები, დარაზმული და შეგნებული, ბრძოლისათვის ფრონტზე მისწრაფვიან, რომ დაიცვან მამული და თავისუფლება, როცა გვესმის სტალინის მოწოდება, — ყველა, როგორც ერთი, მზადა ვართ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაგენაცვლოთ შენ, სამშობლოვ ჩემო!..

უფრო მედგრად აძგერდი, გულო, მძლავრად დასჭექე, ხმაო, ამღელვარდი გონებავ, რომ სამუდამოდ განმტკიცდეს ნება ჩვენი და თავისუფლება შენი, სამშობლოვ ჩემო!

**ცა შეჰკრა მფრინავმა ათასმა,**
**გზის გადამღობებიც აწვდილან,**
**მოსკოვზე თვითეულ თავდასხმას**
**ბერლინი მიიზღავს ათწილად.**



**მომქმედი არმია.** № ქვედანაყოფის არტილერისტებმა ფაშისტების წინააღმდეგ წარმოებულ ერთერთ ბრძოლის დროს ხელთ იგდეს მტრის ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და ამ ქვემეხიდან მტრისავე ყუმბარებით დაუწყეს სროლა გაქცეულ მტრის რაზმებს. (საკდესის ფოტოქრონიკა).

## ს ა ბ ჭ ო თ ა გ მ ი რ ი

**ხარიტონ ვარდოშვილი**

ომის გრიგალი გრიალებს,
ცა ელავს, იწვის ტყე-ველი.
არ უშინდება ურდოებს
ვაჟკაცი დაუძლეველი.
თავზარს სცემს დუშმანს, მძლედ ჰყივის,
რისხვის ალმურის მფრქვეველი.

ის ჩვენი მთების შვილია,
ოქტომბრის ცეცხლით წრთობილი.
მშობელ მიწაზე აღზრდილი,
უშიშარ გმირად შობილი.
სამშობლოს არვის დაუთმობს,
არ სურს სიცოცხლე გმობილი.

გული აქვს უდიადესი,
მგზნებელი უშრეტ ალისა,
ნაცადი, შემმართებელი
მკლავი უმტკიცეს რვალისა.
იბრძვის დაიხსნას მამული —
სინათლე ორთავ თვალისა.

ვერ აკრთობს ცეცხლის გუგუნი,
მინდორი სისხლით ნაბანი.
სტალინისათვის სისხლსა ღვრის,
არ უნდა გახდეს ჯაბანი,
არ შეარცხვინოს ლაჩრობით
დევგმირი მამა-პაპანი.

მას სხვა სიცოცხლე არ უნდა,
გარდა გმირობის სახელის.
იცის გმირია მარტოდენ,
ცეცხლის მთის გადამლახველი.
სულმდაბალი კი დარჩება
ჰარადჟამს ბედის მძრახველი.

—„ძმებო, დაჰკარით, არ შედრკეთ,—
გაჰკივის ომახიანი, —
ვერ დაგვიბნელოს დუშმანმა
ჩვენი ცა ნათელმზიანი,
ლაღი მთები და ტყეები,
ველები ბარაქიანი.

„ჩვენი მახვილი ბასრია,
ვერაგთა მკერდის მკვეთელი,
წინ, გავარღვიოთ, გმირულად,
მძვინვარე ცეცხლის კედელი.
არ დამარცხდება ქვეყანა
გმირების გამომჭედელი.

„გმირს ვაჟკაცურად იტაცებს
დიადი ცის მწვერვალები.
მისი სიცოცხლე სავსეა
სინათლით, მზის ბრწყინვალებით.
მოღალატეს და ორგულსა
ცოდვებით ეწვის თვალები.

„დაჰკარით მტკიცედ! ჩვენს მიწას
მრავალი ახსოვს ომები.
წინადაც ჩვენი მოძმენი
იბრძოდნენ როგორც ლომები.
ჩვენ არ ვყოფილვართ არასდროს
ლაჩარნი, მტერთა მონები“.

„არ შევარცხვინოთ საქმითა
დევგმირი მამა-პაპანი.
ვეკვეთოთ ფაშისტ ურდოებს,
ფრანგულთ გაჰქონდეთ ჯახანი.
იყოს გმირობა, უდრეკი,
ჩვენი სიცოცხლის საგანი!“

## პ ო ე ტ ი პ ა რ ტ ი ზ ა ნ ი

### დ ე ნ ი ს დ ა ვ ი დ ო ვ ს

**სანდრო ეული**

მოიგონებდეთ წარსულის დღეებს,
ალში გახვეულ სოფლებს, ქალაქებს,
ბრძოლის ველს, როგორც დაჩეხილ ტყეებს,
ნაპოლეონის ლაშქრის ბანაკებს.

მოიგონებდეთ რუსეთის სარდლებს
და იმათ შორის ბრგე ბაგრატიონს,
გმირულ ბრძოლებში შეუდარებელს,
უდრეკ მეომარს და დიდ პატრიოტს.

მოიგონებდეთ წარსულის ბრძოლებს
და იმათ, ვისი სახელი ბრწყინავს,
მათი გმირობა შორს მიგვაქროლებს
და სადღეისოდ გულებს გვირკინავს.

მოიგონებდეთ დენის დავიდოვს,
პარტიზანს, პოეტს და ადიუტანტს,
მისი ბრძოლებით ვინ არ აღინთოს?
მის საფლავს ყვავილს ვინ არ მიუტანს?

პოეტის გული იყო მღელვარე,
სამშობლოს დაცვა ფიქრად დაჰქონდა,
ოცნების ფრთებით სახე ელვარე
შიშველ ხმლით ბრძოლის ველზე დაჰქროდა.

ხშირად აწვიმდა მის ლექსებს ტყვია,
ამბობდა იგი: ყველამ იცოდეს,
როცა სამშობლოს ცეცხლი არტყია,
მხოლოდ ბრძოლაში უნდა იწოდეს!

და მან შესცვალა თოფით კალამი,
ცეცხლს აელვებდა მტრების ზურგიდან,
პარტიზანული ბრძოლის ალამი
მან დაარხია ხალხის გულიდან.

ვინ არ მხნეობდეს ამ მოგონებით!
წინ გამარჯვების რწმენამ უნათოს,
ერთი გრძნობით და ერთი გონებით
ქვეყნის საბრძოლო ძალას უმატოს!

მეგობრებს შორის ვინ უნდა დარჩეს,
რომ არ მიბაძოს პოეტ პარტიზანს?
ჩვენი რიგები ვერ ითმენს ლაჩრებს,
ვინც თავს არ სწირავს ბრწყინვალე მიზანს.

დღეს დრო ითხოვს და იქ შევიყრებით,
სადაც მტრის ურდო ჩვენს მიწას თელავს, —
იქ პოეტები პარტიზანებიც
შურისძიების რისხვად დაელავს...

## სამამულო ომის სიმღერები

**ბესო ჟღენტი**

ქართული საბჭოთა პოეზია სამამულო ომის ქარიშხლიან დღეებში თავის ხალხთან ერთად ბობოქრობს მგზნებარე პატრიოტული აღფრთოვანებით, სამშობლოსათვის თავდადების რაინდული გრძნობით, მამულის მტრებისადმი მომაკვდინებელი მრისხანებითა და გულისწყრომით.

სამამულო ომის პირველსავე დღეებში ქართველ პოეტთა მიერ დაწერილი ლექსებისა და სიმღერების ორი კრებული, რომელიც ეხლახან გამოსცა სახელგამმა, ნათლად გვაჩვენებს, თუ რამდენად ყალბი და უსაფუძვლო ყოფილა ცნობილი აფორიზმი: „როცა ზარბაზნები ჰქუხან, მუზები სდუმან“. პირიქით, კაცობრიობის უბოროტესი მტრების, ფაშისტ-ავაზაკების შესამუსრავად ამეტყველებული ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვევების ქუხილს თავისი მრისხანე და შთაგონებული ხმა შეუერთა საბჭოთა პოეზიამ.

ერთი აზრით და ერთი მისწრაფებით არის ეხლა გამსჭვალული ყოველი ჭეშმარიტი საბჭოთა პოეტის გული და გონება:

„დასთმე სიმღერა სხვა ყოველგვარი,
ყოველი კილო, სიტყვა და აზრი,
გარდა ერთისა: მხოლოდ მედგარი
დაგრჩეს ყივილი, ხმალივით ბასრი“,—

მიმართავს თავის კალამს ალ. აბაშელი, და პოეტი ისწრაფვის, რომ ყველაფერი, რაც კი საუკეთესო და უძლიერესი გააჩნია მის შემოქმედებითს არსებას:

„ამ ერთ ყივილში მოზღვავდეს ერთად,
როგორც მომსკდარი მთიდან ლანქერი.
კალამო, მხოლოდ შემუსვრა მტერთა!
გადაივიწყე სხვა ყველაფერი!“

ღრმა გულწრფელობით ჟღერს მთელი საბჭოთა ლიტერატურის, ყველა საბჭოთა პოეტის მტკიცე ნებისყოფისა და ერთსულოვანი სურვილის გამომხატველი ლექსი გიორგი ქუჩიშვილისა:

„„დღეს მეც მინდა ჩავიცვა
არმიელის ფარაჯა,
მინდა ფრონტს ვამსახურო
აზრიცა და მკლავიცა,
მინდა ვიყო დარაჯად
ჩვენი ქვეყნის მთა-ველის
და გულმკერდით დავიცვა
მისი ყველა მტკაველი!“

მწველსა და აღმაგზნებელ, ცხოველ მხატვრულ სიტყვაში გამოსთქვამს საბჭოთა პოეზია ჩვენი დიადი და უძლეველი ხალხის მტკიცე და ურყევ ნებისყოფას, რომ მოძალადე მტრის განადგურებით, მისი მოსპობითა და გაცამტვერებით უკვდავჰყოს თავისი სამშობლოს სახელი და ღირსება. ამ აზრითა და რწმენით არის გამსჭვალული ალიო მაშაშვილის სტრიქონები:

„მტრებს დავსცხოთ, ქარბუქს
მიჰქონდეს
მათი ოხვრა და გლოვანი,
კვლავ ვასახელოთ გმირობით
სამშობლო სახელოვანი“.

ბოლშევიკების უძლეველი პარტიისა და დიდი **სტალინის** პირველსავე დაძახილზე ერთსულოვნად აღსდგა თავისუფლების მოყვარული საბჭოთა ხალხი თავისი დოვლათის, თავისი ღირსებისა და არსებობის დასაცავად. გიორგი ლეონიძის ლექსში ხალხის ეს ერთობლივი რაინდული ამხედრების ძალაა განსახიერებული:

„ამ დაძახილზე აღმართული ვართ,
როგორც სალი კლდე, წარღვნის
მკეტავი,
არვის დაუთმოთ თავისუფლება,
არც მივცეთ ხალხის ნასიკეთარი“.

ოქტომბრის ქარიშხლიანი ეპოპეის პირმშოს, ჩვენს დიდებულ რევოლუციურ ეპოქაში დაბადებულსა და დავაჟკაცებულ ახალგაზრდა თაობას, დიდი **სტალინის** უკვდავ აზრებთან და საქმესთან შეზრდილ თაობას მიმართავს სიმონ ჩიქოვანი:

„მამული ამბობს: იბრძოლე ჩემთვის,
შვილო, სისხლი და ხორცი ხარ ჩემი,
ბელადის გრძნობა შენ გრძნობას
ერთვის,
გამარჯვების და სიმტკიცის მზეო“.

მთელი საბჭოთა ხალხის ერთადერთი ფიქრი და ზრუნვა ეხლა სამშობლოს გამარჯვებაა.

ეხლა ქართველი დედა დაუზარებლად, სიამაყის გრძნობით და პატრიოტული შთაგონებით ჰგზავნის თავის პირმშო ვაჟკაცს სამამულო ომის ფრონტზე და გზას ულოცავს მას:

„წადი, ქვეყანა გეძახის
და ქვეყნის გული გაცილებს,
ასი რომ გქონდეს სიცოცხლე,
სამშობლოს გაუნაწილე,
ასი რომ გქონდეს დაკრული,
მაინც გიჭრიდეს მახვილი,
გზას გინათებდეს ბრძოლაში
დიდი სტალინის სახელი“.

(ი. მოსაშვილი)

ბრძოლის ცეცხლს აღვივებს, გმირული თავგანწირულების ნებისყოფას აჟღერებს პოეტის ძახილი სამშობლოს დამცველ რაინდებისადმი:

„შენს სიმართლეს, შენს სიყვარულს,
შენს სახლ-კარს და აკვან-ბუდეს,
შენი ქვეყნის წმინდა საზღვრებს
შემოევლე რკინის ზღუდედ“.

(გ. აბაშიძე)

ძველი ქართული ლაშქრული სიმღერის „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“ მოტივებზე, ქართველი ხალხის საბრძოლო ტრადიციებთან შესისხლხორცებულ ამ დიდებულ ჰანგზეა აგებული შალვა აფხაიძის მოწოდებითი ლექსი:

„აღსდექი, ხალხო, ხმა ისმის
ბრძოლისკენ მოწოდებისა,
დრო დადგა მტერთა დალაშქვრის
მისი უფსკრულში გდებისა“.

მტრისადმი დაუნდობელი სიძულვილით არის გამსჭვალული კალე ბობოხიძის ლექსი „საბრძოლო ლაშქრული“. მებრძოლი პატრიოტების სულისკვეთების, საბჭოთა ხალხის ურყევ ერთსულოვნების, ვერაგ მტერზე გამარჯვების ნათელ რწმენას გამოხატავს აგრეთვე ამ ორ კრებულში მოთავსებული ლექსები სანდრო შანშიაშვილისა, სოლომონ თავაძისა, მარიკა მიქელაძისა, გიორგი კალანდაძისა, ალეკო შენგელიასი, ანდრო თევზაძისა, იოსებ ნონეშვილისა და წვევამდელის გ. ლოლუასი.

სამამულო ომის უძლეველ სარდლის დიდი **სტალინის** მიერ 3 ივლისს რადიოთი წარმოთქმულმა სიტყვამ ცხოველი გამოძახილი ჰპოვა საბჭოთა კავშირში. ამ ისტორიული სიტყვის განუზომელი ძალა და რეზონანსი შემდეგნაირად გამოხატა თავის ლექსში ვარლამ ჟურულმა:

„ეს არის გრგვინვა, ძახილი
ორასმილიონ ვეფხისა,
მტრის გასაპობი მახვილი
ელვა გავარდნილ მეხისა“.

სარეცენზიო ორი მცირე მოცულობის კრებული ქართული საბჭოთა პოეზიის მხოლოდ პირველი გამოძახილია ჩვენი სამშობლოს, საბჭოთა ხალხის დიად საბრძოლო ამხედრებაზე. დღითი დღე იზრდება ამ გამოძახილის სიღრმე, გაქანება და მხატვრული ძალა.

მთელი საბჭოთა ლიტერატურაა სამამულო ომის სახელოვან ფრონტზე გამოსული. საბჭოთა მწერლების შესახებ შეგვიძლიან გავიმეოროთ ენგელსის სიტყვები, რომლითაც იგი აღორძინების ხანის საუკეთესო ადამიანებს ახასიათებდა: „სცოცხლობენ თავისი დროის ინტერესებით, მონაწილეობენ პრაქტიკულ ბრძოლაში და იბრძვიან ვინ სიტყვით და კალმით, ვინ ხმლით და ვინ ერთითაც და მეორითაც“.

## კონცერტები საზენიტო ბატარეაზე

ლენინგრადის ნორჩ მაყურებელთა თეატრი 26 დღის განმავლობაში იმყოფებოდა მომქმედ არმიაში, მოწინავე პოზიციებზე, სადაც მან 56 კონცერტი გამართა. კონცერტი იმართებოდა სულ სხვადასხვაგვარ ვითარებაში. ზოგჯერ კონცერტს შესწყვეტდა ხოლმე მტრის თვითმფრინავთა ხმაური, ყუმბარების აფეთქება, შაშხანების ტყვიები. ერთხელ, მაგალითად, არტისტებმა კონცერტი მოაწყეს საზენიტო ბატარეის მებრძოლთათვის. შუა კონცერტის დროს გაისმა სიგნალი: „ჰაერი!“ რამდენსამე წამში მებრძოლნი უკვე თავიანთ საბრძოლო პოსტებზე იყვნენ. ჰაერში გამოჩნდა რამდენიმე ფაშისტური თვითმფრინავი, რომელნიც აღმოაჩინეს ჩვენმა ძლიერმა პროჟექტორებმა, ხოლო ჩვენმა სახელოვანმა საზენიტო მსროლელებმა გამანადგურებელი ცეცხლი დაუშინეს. ჰაერში ცეცხლი გაუჩნდა მტრის ერთ-ერთ თვითმფრინავს და დიდი გრუხუნით ძირს ჩამოვარდა. დანარჩენმა სვავებმა ძლივს უშველეს თავს. მებრძოლნი კვლავ შეგროვდნენ და კონცერტიც გაგრძელდა.

მეორე შემთხვევაში საკონცერტო ბრიგადა დანიშნულ ადგილს მივიდა, მაგრამ ვერ ნახა ის ნაწილი, სადაც კონცერტი უნდა გამართულიყო. თურმე ეს ნაწილი ცოტა ხნის წინად ბრიგადის მისვლამდე გამოსდევნებია გერმანელ-ფინელ ჯარს და წინ წაწეულიყო.

ბრიგადის კონცერტები იშვიათი აღფრთოვანების ატმოსფერაში მიმდინარეობენ. მეომრებმა სთხოვეს ბრიგადას, დაბრუნებისას გადასცეს ლენინის ქალაქის მშრომელებს, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ მტრის გასანადგურებლად, იმისთვის, რომ ფაშისტური ბანდები აღგვილ იქნან მიწის პირიდან.

**ერები მხარდამხარ არიან,**
**რუს ვაჟკაცს ქართველი მოსძახის,**
**მტერს მუსრავს წითელი არმია,**
**მრავლდება გმირების ოჯახი.**

# მგლები

**ლადო ავალიანი**

სიარულში მარჯვენა თეძოს გამაღიზიანებლად ეხებოდა რევოლვერი. მისი სიმძიმე ქამარს განზე ეწეოდა და წელზედაც ჩვეულებრივზე მეტად უჭერდა.

მოხუცი ვერ ისვენებდა, მალი-მალ ჩერდებოდა, მიიხედ-მოიხედავდა, მერე რევოლვერს ბუდიდან ამოაცოცებდა. მზის სხივებზე მუქ-ლურჯად აელვარებული ფოლადის ანარეკლი მოხუცის სახეს ეკვეთებოდა; მის ღმობიერ ღიმილში ფოლადისებურ სიმტკიცეს აქსოვდა. მოხუცს უხაროდა და ამაყობდა... წარსულში, როცა მშობლიურ მხარეს გერმანელი ოკუპანტები აწიოკებდნენ, მათ წინააღმდეგ ბრძოლაში უშიშარი პარტიზანის სახელი მოიხვეჭა. როცა მშობლიურ მიწა-წყალზე მტრის ხსენება მოისპო, თავისი განუყრელი თოფი და რევოლვერი ხელისუფლებას ჩააბარა, რევოლვერის ბუდე კი მაინც შერჩა წელზე...

ერთხელ მისი მოშორებაც სცადა, მაგრამ ვერ გასძლო. უბუდოდ მარჯვენა თეძოში როგორღაც სიცივესა და სიმჩატეს გრძნობდა. მინდორში სამუშაოდ მიმავალი ცარიელი ბუდის ვიწრო ყელს წვრილმანი ხელსაწყოებით გასჭედავდა, ზემოდან კი პურის ნაჭრებს დაამატებდა და სახურავს თასმით დაამაგრებდა ღილზე...

გაუთიბავ პურის ყანაში—ვიწროდ გაკვლეულ ბილიკზე მიმავალს წითელარმიელთა ათეული შემოეგება. ორმა მოხუცი იცნო, მიესალმნენ.

— ხომ არავინ შეგინიშნავს?

— ვის ეძებთ?

— ცნობა მივიღეთ—ოთხი პარაშუტისტი, დივერსანტი, დაშვებულა აქ.

— ოთხი? ოთხი არ მინახავს, ორი კი...

— საით წავიდნენ?

— იქით!

მოხუცმა ხელი გაიშვირა იმ მხარეს, სადაც წითელარმიელთა დიდი ნაწილი იდგა.

— კი, მაგრამ... ჩვენ იქიდან მოვდივართ...

— მეც იქიდან მოვდივარ,—გაიცინა მოხუცმა.

— მომყევით!—შესძახა მეთაურმა წითელარმიელებს.

— ნუ ჩქარობთ! შეაჩერა მოხუცმა.

მეთაური მოხუცთან მიიჭრა, თვალებში ეჭვით ჩახედა, მერე ბუდეზე ხელი უტაცა!

— რევოლვერი სად იშოვნე?

— თქვენმა უფროსმა მომცა.

— როდის?

— აკი გითხარით, ეხლა იქიდან მოვდივარ მეთქი... ის ორი დივერსანტი უვნებლად ჩავაბარე... რაკი თქვენთვის უცნობებიათ, ოთხი იყოო, მაშ დანარჩენი ორი იმ გორაკზე ტყეში უნდა მოვძებნოთ. სხვა თავშესაფარს ვერსად წააწყდებოდნენ.

— გვასწავლე მოკლე გზა!—აჩქარებით მიმართა მეთაურმა.

მოხუცმა რევოლვერის ბუდეს ხელი მოსჭიდა, წინ წაიხარა და თვალით ანიშნა—მომყევითო, გუნებაში კი გაიფიქრა: „თუ კი უიარაღოდ ორი შევიპყარი, იარაღიანს რამდენი უნდა მეყოს?..“

მიუძღოდა მოხუცი ათეულს და გული ხალისიანად, იმედით უცემდა, მკლავში და მუხლში ღონე მატულობდა.

— რა ხელობის კაცი ხარ ძია?—ხმადაბლა ჰკითხა მეთაურმა.

მოხუცმა წამით უკან მიიხედა, თვალები მოწკურა და ღიმილით უპასუხა:

— მონადირე ვარ, ბიძი. ზამთარში მგლებს ხაფანგს ვუგებ ხოლმე... ახლა კი, რა მეგონა თუ ზაფხულშიაც შემოგვესეოდა მათი ჯიში, მაგრამ... არც ზამთარში ვუყრიდი ხერის და არც ახლა — ზაფხულში — გავახარებ. მომყევით, მომყევით!

## „ასი ერთისათვის“

ერთ-ერთი საბჭოთა კინო-სტუდია ამზადებს მოკლე მეტრაჟიან კინო-ფილმს სათაურით „ასი ერთისათვის“. ამ ფილმის სცენარი, რომელიც ეკუთვნის ვ. ვოევოდინს და ე. რისს, გვიჩვენებს გერმანელი ჯარის მიერ დაკავებულ ერთი პატარა სერბიული ქალაქის ბნელით მოცულ ვითარებას. ორი ფაშისტი უნტერი ყოვლად უგვანოდ შეურაცხყოფს ერთს სერბ ქალიშვილს. უმალვე ქალს ძმაგები გამოუჩნდებიან. ერთ-ერთი შეურაცხმყოფელთაგანი მიწაზე დაეცემა, ჭაბუკი სერბის იურის მიერ გულგანგმირული, მეორე შეურაცხმყოფელს მოჰკლავს თვით ქალიშვილი. შემდეგ სცენარის ავტორები დიდი დამაჯერებლობით ავითარებენ ფილმის სიუჟეტს. გერმანელების მოკვლისათვის [illegible] დასახვრეტად მიჰყავთ ასი სერბი. უკანასკნელ წუთებში სერბი პატრიოტები ქედს არ იხრიან და არ ნებდებიან ჯალათებს. აუცილებელი დაღუპვის წინ ისინი ინარჩუნებენ კაცურ ღირსებას. ისინი მზად არიან დაიხოცნენ, მაგრამ არა როგორც მონები, არამედ როგორც თავისუფალი მამულიშვილები, მკვლელების მიმართ მძულვარებით და ზიზღით აღსავსენი. ეს არის სიამაყე ხალხისა, რომელიც დაუპყრიათ, მაგრამ ვერ დაუმორჩილებიათ. იმავე ბარებით და რკინის ნიჩბებით, რომლებითაც მათ თავიანთი სამარე უნდა გათხარონ, დასახვრეტად გამზადებულნი სპობენ მტრის რაზმს და გარბიან ტყეში, რომ სხვა პარტიზანებთან ერთად დაუნდობლად და შეუპოვრად ებრძოლონ ფაშისტ დამპყრობლებს.

# საბჭოთა მწერლები და ჟურნალისტები ფრონტზე

მოქმედ არმიაში ფრონტზე იმყოფებიან საბჭოთა მწერლები, რომელთა სახელებს კარგად იცნობს ჩვენი ქვეყნის უამრავი მკითხველი.

პოეტი ალ. სურკოვი, რომლის საბრძოლო სიმღერებიც აფრთოვანებენ წითელი არმიის მეომრებს, ხშირად იმყოფება მომქმედი არმიის მოწინავე პოზიციებზე. ფრონტის გაზეთში ქვეყნდება მისი მახვილი ლოზუნგები ლექსად. ნაყოფიერად მუშაობს მწერალი ვლადიმერ სტავსკი.

დასავლეთ ფრონტზე მომქმედი არმიის გაზეთებში აქტიურად მუშაობენ მწერლები ვ. კოჟევნიკოვი, ფ. ლევინი. ფრონტზეა ვიქტორ გოლცევი. საუცხოო ლექსებსა და ნარკვევებს აქვეყნებს კონსტანტინე სიმონოვი.

მოსკოველებთან ერთად ფრონტის პრესაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ბელორუსი მწერლები: მ. ლინკოვი, კ. კრაპივა, ი. გურსკი, ა. სტახოვიჩი, ვ. ბორისენოკი, პ. პანჩენკო.

ხიშტითა და კალმით მამაცად იბრძვიან საბჭოთა სამხედრო ჟურნალისტები.

„ლიტერატურნაია გაზეტას“ საკუთარი კორესპონდენტი, რომელიც მოქმედ არმიაში იმყოფება, ასე გადმოგვცემს საბჭოთა სამხედრო ჟურნალისტების ბრძოლის ერთ ეპიზოდს:

დილით ადრე სამხედრო ჟურნალისტების ჯგუფი სატვირთო მანქანებით ქალაქ გ-სკენ მიემართებოდა. მოულოდნელად გზის მარჯვენა მხრიდან მოისმა თვითმფრინავების მოტორების გუგუნი და ყუმბარების აფეთქების ხმა. ძნელი მისახვედრი არ იყო: ფაშისტი საჰაერო ბანდიტები თავს ესხმოდნენ რკინიგზას. რამდენიმე წუთის შემდეგ ტყიდან გამოჩნდა ორი ფაშისტური სვავი, რომელნიც მთიბავი ფრენით მოდიოდნენ. ისინი სულ დაბლა დაეშვნენ და ტყვიამფრქვევების სროლა დაუწყეს გზაზე მიმავალ მანქანებს. და როცა ბინძური ფაშისტური ყორნები ჟურნალისტების მანქანას მოუახლოვდნენ, მწყობრად გაისმა რამდენიმე შაშხანის სროლის ხმები. ისროდნენ ჟურნალისტები — ბატალიონის კომისარი ავდიუშინი, პოლიტხელი დომინსკი, უმცროსი ლეიტენანტი შარაპოვი და სხვები. მტრის თვითმფრინავები ფრენას განაგრძობდნენ. მაგრამ რამდენიმე წამის შემდეგ ერთმა მათგანმა დაჰკარგა წონასწორობა და მალე ჩამოვარდა. გაისმა აფეთქების ხმა, და შავი კვამლი აიმართა ცისაკენ. საბჭოთა ჟურნალისტების ზუსტმა ტყვიამ თავისი საქმე გააკეთა: ფაშისტური თვითმფრინავი მიწაზე დაინარცხა.

ჟურნალისტები გაეშურნენ იმ ადგილისაკენ, სადაც თვითმფრინავი დაეცა. მიწაზე ეყარა გერმანული ყუმბარმშენის ნამსხვრევები, დალეწილი თვითმფრინავის მახლობლად ოთხი ფაშისტი მფრინავი იმყოფებოდა. ერთი მათგანი ტყვიამფრქვევით ხელში სადარაჯოდ იდგა, სხვები კი თვითმფრინავიდან ხსნიდნენ დანარჩენ ტყვიამფრქვევებს.

ფაშისტებმა როგორც კი დაინახეს მიახლოვებული ადამიანები, დაიწყეს ტყვიამფრქვევის სროლა, ამავე დროს გაიქცნენ კიდევაც. რევოლვერებით შეიარაღებული უფროსი ლეიტენანტი ლებედევი და პოლიტხელი ხახალინი, მიხაილოვი და ჟურავლევი მისდევდნენ ფაშისტურ ბანდიტებს. ფაშისტები გარბოდნენ და ტყვიამფრქვევს ესროდნენ მამაც ჟურნალისტებს. ჟურნალისტებს გამანადგურებელი ბატალიონის მებრძოლები მიეშველნენ. ორი ფაშისტი ბანდიტი მოჰკლეს, ორი ტყვედ წამოიყვანეს. რედაქციის კოლექტივს ნადავლში დარჩა ორი გერმანული ტყვიამფრქვევი ვაზნებით, პარაშუტი და სხვა ნივთები.



ჰიტლერი (გებელსს) — როცა შენს მიერ შედგენილ ცნობებს ვკითხულობ, მხოლოდ მაშინ დავმშვიდდები ხოლმე.

# შებრუნებით

[illegible]

ადიუტანტი. ტანკების ისტორიაში ასეთი რამ არასოდეს არ მომხდარა.

გენერალი. ვერ არის კარგი ისტორია... განაგრძეთ!

ადიუტანტი. ესაა ყველაფერი, რაც უნდა მომეხსენებინა.

გენერალი. (შეშინებული) რამდენი?

ადიუტანტი. მე ვთქვი, ყველა ცნობა მოგახსენეთ მეთქი!

გენერალი. ახ, ყველა ცნობა... როგორ შემაშინეთ!

ადიუტანტი. ახლა მიბრძანეთ, როგორ დავწეროთ ინფორმაცია?

გენერალი. ჰმ! თქვენ სთქვით, საჰაერო ბრძოლაში ჩვენ ჩამოვაგდეთ შვიდი თვითმფრინავი, ხოლო დავკარგეთ ას ექვსი.

ადიუტანტი. სწორედ მაგრე გახლავთ, ბატონო გენერალო!

გენერალი. დასწერეთ შებრუნებით

ადიუტანტი; ე. ი. უნდა დავსწეროთ ასე: საჰაერო ბრძოლაში ჩვენ დავკარგეთ ას ექვსი თვითმფრინავი, ხოლო ჩამოვაგდეთ შვიდი.

გენერალი. როგორ არ გესმით?! სტრიქონებს კი ნუ შეაბრუნებთ, ციფრები შეაბრუნეთ: საჰაერო ბრძოლაში ჩვენ ჩამოვაგდეთ ას ექვსი თვითმფრინავი, დავკარგეთ შვიდი.

[illegible] ჩავსხით საჰაერო დესანტი, რომელმაც სრულიად მოსპო ადგილობრივი გლეხები.

ადიუტანტი. სხვა არაფერი?

გენერალი. არაფერი! შეგიძლიანთ დაუმატოთ: უკან დაბრუნებულმა ჩვენმა დესანტმა თან წამოიღო ასოცი ვაგონი პურის ფქვილი, რომელიც ამ დღეებში დარიგდება ბერლინში.

ადიუტანტი. განა ეს სახიფათო არ არის?

გენერალი. რითია სახიფათო?

ადიუტანტი. წაიკითხავენ თუ არა ამ ინფორმაციას, მთელი გერმანია ბერლინს მოაწყდება.

გენერალი. ეს კი სწორეა! აბა ასე დასწერეთ: „რომელიც დარიგდება ბერლინში, როცა ომი დამთავრდება“.

ადიუტანტი. არც ასეა კარგი, ბატონო გენერალო: ჩვენი მშიერი ჯარისკაცები ახლავე დაამთავრებენ ომს...

გენერალი. ჰმ! ახლაც მართალს ამბობთ. ისევ სჯობია, ჩვენს საჰაერო დესანტს ნუ წამოაღებინებთ ფქვილს.

ადიუტანტი. ჰეილ!

გენერალი. ჰეილ, ჰეილ!

**ი. რუდინი.**

## სახალხო ლაშქრის თეატრი

სცენაზე ხდგას ახოვანი კაცი წითელარმიელის ფორმაში, ორი ორდენით. მაყურებლები, სახალხო ლაშქრის მეომარნი და მეთაურნი, პირველ დანახვისთანავე სცნობენ მას. ეს არის საბჭოთა სცენის ერთ-ერთი შესანიშნავი ოსტატი, სახალხო არტისტი ნ. კ. ჩერკასოვი, რომელმაც შექმნა ალექსანდრე ნეველის, პროფესორ პოლეჟაევის, მაქსიმ გორკის დაუვიწყარი კინო-სახეები.

დიდ სამამულო ომის დღეებში ნ. ჩერკასოვი სათავეში ჩაუდგა ახალ თეატრს, რომელიც უკვე წარმოადგენს სახალხო სალაშქრო არმიის დანაყოფს. ამ თეატრის ყველა აქტიორი გადის პოლიტიკური და საბრძოლო მომზადების კურსს. სახალხო ლაშქრის თეატრის რეპერტუარში შეტანილია დრამატიული მინიატიურები, სატირული სცენები, პოლიტიკური პამფლეტები. თავისი პირველივე გამოსვლებით თეატრმა პოპულარობა და სიყვარული მოიპოვა სახალხო მოლაშქრეთა შორის.

# მკვლელთა ფაბრიკა

**ილია ერენბურგი**

როცა ელაპარაკები ტყვე ჰიტლერელ ბანდიტებს, კითხულობ მათ დღიურებსა და წერილებს, ძალაუნებურად ეკითხები თავს: საიდან გაჩნდნენ ეს უვიცი და დაუნდობელი არსებები? უნდა შევიხედოთ ჰიტლერიაში, რათა გავიგოთ — როგორ არის მოწყობილი იქ მკვლელთა სერიული წარმოება.

ჰიტლერმა მოსპო სიყვარული, ქორწინება, ოჯახი. ადამიანთა საზოგადოება მან ბოსლად გადააქცია, დასაგრილებელ პუნქტად.

ლაიპციგელი პროფესორი ერნსტ ბერგმანი თავის წიგნში „შემეცნება და დედობა“ სწერს: „მონოგამია დამახინჯებაა და მას რასის გაფუჭებისაკენ მივყევართ. საბედნიეროდ, ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვებიან კეთილი ნებით აღჭურვილი და კარგად შეგუებული ყმაწვილი ვაჟკაცები. **ერთ ვაჟს შეუძლიან ოცი ქალიშვილის განაყოფიერება**“. ეს კედელზე როდი სწერია, ამას სწერს ბერგმანი, ხოლო ჰერ ბერგმანი ჰიტლერიაში „მეცნიერად“ ითვლება.

მიწათმოქმედების მინისტრი დარე ქალებს, როგორც ჩამომავლობის წარმომშობებს, ოთხ კატეგორიად ჰყოფს. პირველ კატეგორიას ეკუთვნიან ყველაზე ჯიშიანი ქალები. ასეთი ქალების შეუღლება ფულადი სუბსიდიებით უნდა იქნას წაქეზებული. მეორე კატეგორიაში შედიან საშუალო ხარისხის დედლები. რაც შეეხება მესამე ხარისხის ქალებს, მინისტრის აზრით, უნდა მოხდეს მათი სტერილიზაცია. დასასრულ, მეოთხე კატეგორიის ქალებს უნდა აეკრძალოთ ქორწინება.

სიყვარულისა და ქორწინების ნაცვლად ჰიტლერს „გერმანული რასის გასაუმჯობესებლად“ სურს მოაწყოს ვაჟისა და ქალის რეგლამენტირებული თანაცხოვრება. ჰიტლერის გვარდიის, ეგრეთწოდებული ს. ს-ის წევრებს უფლება არა აქვთ შეირთონ ისეთი ქალიშვილები, რომელთა წინაპრებიც შემოწმებული არ იქნებიან სარდლობის „რასული განყოფილებისაგან“.

ჰიტლერის ხელმოწერით გამოვიდა ბრძანება ს. ს-ის გამრავლების შესახებ. აი ამ ბრძანებაში ჰიტლერი სწერს:

„ს. ს. წარმოადგენს ჩრდილოეთის აგებულებისა და გარკვეული ნიშნებით შერჩეულ გერმანელ მამაკაცთა რჩეულ გაერთიანებას“.

ჰიტლერი მიუთითებს ს. ს-ის წევრთა ქორწინების რეგლამენტაციაზე და განაგრძობს:

„ამით მინდა მივაღწიო ერთ მიზანს—შევინარჩუნოთ **ჭეშმარიტ გერმანელ ადამიანთა მემკვიდრეობით ჯანსაღი და ფასიანი ნაშენი**“.

გაზეთი „ფელკიშერ ბეობახტერი“ სწერს:

„ჩვენს გლეხებს ესმოდათ, რა არის რასის სიწმინდე; თუ ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ პრუსიული ძროხებით, რომელნიც ბევრ შემთხვევაში ფიონურ და გერეფორდულ ძროხებზე მაღლა დგანან, მაშინ არავინ ჩვენგანი არ იამაყებს მარქსით, ჰაინეთი ან უდღეური აინშტეინით. როცა რასის გაგრძელებაზე ვფიქრობთ, ყოველთვის თვალწინ უნდა გვედგას ჩვენი გლეხების ცდები“.

სხვანაირად, ჰიტლერის ხროვა ისევე უნდა გამრავლდეს, როგორც მრავლდებიან პრუსიული ან გერეფორდული ძროხები...

უნდა ითქვას, რომ გერმანელებს, თუ არ ჩავთვლით ს. ს-ს („ერთი ვაჟი ოც ქალიშვილზე“), არც თუ მაგდენად მოსწონთ ჰიტლერის ეს პირუტყვული პათოსი. 1940 წლის ნოემბერში გერმანიის არმიის გენერალური შტაბის ჯარის განყოფილებამ გამოსცა ინსტრუქცია ასეულის უფროსთათვის შემდეგი სათაურით: „ძალიან ცოტა ბავშვი გვყავს“. ამ ინსტრუქციაში წააწყდებით ასეთ წუწუნს:

„რა სარგებლობა გვექნება მოახლოვებული გამარჯვებისაგან, თუ ერთ მშვენიერ დღეს ვერ შევძლებთ შევინარჩუნოთ და დავიცვათ ჩვენი სახელმწიფო? ჩვენ არ გვინდა დიდი სახლი უბავშვებოდ“.

შემდეგ ინსტრუქციას ციფრები მოჰყავს:

„1910 წელს 6,4 მილიონი ახალგაზრდა ჯანმრთელ ოჯახზე მოდიოდა 1,8 მილიონი დაბადება, ხოლო 1939 წელს 8,6 მილიონ ოჯახზე მხოლოდ 865 ათასი დაბადება“.

განსაკუთრებით აწუხებს ინსტრუქციის ავტორებს სლავების ნაყოფიერება. ისინი მიუთითებენ, რომ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ევროპაში გერმანელები შეადგენდნენ 32 პროცენტს, სლავები 35 პროცენტს, ახლა კი გერმანელები შეადგენენ 30 პროცენტს, ხოლო სლავები—46 პროცენტს.

ბოლოს, ინსტრუქცია გვაგებინებს, რატომ უნდა მრავლდებოდნენ გერმანელები:

**„ყოველი 1941 წელს დაბადებული ჯანმრთელი ბავშვი 1961 წელს გადაიქცევა ბეჯით ჯარისკაცად.** ყოველი 1941 წელს დაბადებული გოგონა ოცი წლის შემდეგ გადაიქცევა ბეჯით დიასახლისად და დედად“.

მკვლელთა ფაბრიკის პატრონნი არ მალავენ თავიანთ ზრახვებს—მათ აწუხებთ ერთი რამ: ვინ შეუდგება 1961 წელს ყლეტვა-ხოცვას და ძარცვა-გლეჯას. მაგრამ ეტყობა, გერმანელები არც თუ მაგდენად არიან გატაცებული გასაჟლეტად შვილების გაჩენით, და თვით იმ ვაჟებშიაც, რომლებიდანაც თითოს ოც ქალიშვილს მიუჩენენ, ყოფილან „გამცდენელნი“.

ქორწინების რეგლამენტაციამ, პირუტყვულმა მიდგომამ ადამიანის გრძნობებისადმი მთლად წაბილწა და დაამახინჯა გერმანელი ხალხის ფსიქიკა. ჰიტლერმა ცინიზმი და გარყვნილება ყველასათვის სავალდებულო მოვლენად გადააქცია. ჩემ წინ დევს ჰამბურგში დაბეჭდილი „ბარათები კოცნაზე“. ამ ბარათებს ჯარისკაცებს გასართობად უგზავნიან. ტალონი ხუთ კოცნაზე, ისევე, როგორც ცხიმის ხუთ გრამზე... ეს ჰუმორისტული ბარათები ცხადჰყოფენ, რა ზომამდე შეიცვალა ადამიანთა ფსიქიკა ფაშისტ მეცხოველეების ზეგავლენით.

გერმანიაში ბავშვები, ყველანი ჰიტლერს ეკუთვნიან. როცა ათი წელი უსრულდება, ვაჟი თუ ქალი ფიცს სდებს:

„უფალი ღმერთის წინაშე ვალდებულად ვრაცხ თავს უსიტყვოდ დავემორჩილო ფიურერს“.

ჰიტლერმა 1937 წლის პირველ მაისს სთქვა:

„ჩვენ შორის ჯერ კიდევ არიან ყოვლად გამოუსადეგარი ძველი ჯურის ადამიანები. ისინი ფეხებში გვედებიან როგორც ძაღლები ან კატები. მაგრამ ეს ჩვენ არ გვაწუხებს. **ჩვენ ჩამოვართმევთ მათ ბავშვებს.** ამ უკანასკნელებს სათანადოთ აღვზრდით და ნებას არ მივცემთ მათ აზროვნების ძველ გზას დაადგნენ. ჩამოვართმევთ მშობლებს მაშინ, როცა ათი წლისანი იქნებიან და თვრამეტი წლისთვის ჩვენს სულს შთაუნერგავთ მათ. **ისინი ჩვენ ვერ აგვცდებიან.** ისინი შევლენ პარტიაში, ს. ა-ში, ს. ს-ში“.

ათი წლის ბავშვები მშობლებმა კაციჭამიებს უნდა გადასცენ. დაფარვისთვის ,არ გამხელისთვის ჯარიმა და საპყრობილეა დაწესებული. 1941 წლის თებერვალში განათლების მინისტრმა რისტმა და „ჰიტლერის ახალგაზრდობის“ ფიურერმა აკსმანმა ხელი მოაწერეს „შეთანხმებას“. ამ შეთანხმების თანახმად, ბავშვები 8 საათიდან 2 საათამდე სკოლაში არიან. მთელი დანარჩენი დრო „ჰიტლერის ახალგაზრდობას“ ეკუთვნის. ტექსტში ნათქვამია: „ჰიტლერის დრო წმინდაა“-ო.

მასწავლებლები პასუხს აგებენ, თუ ისინი ექსკურსიებით ან შინ მიცემული დავალებებით შეზღუდავენ „ჰიტლერის დროს“. შაბათი მთლიანად ჰიტლერს ეკუთვნის. ორი კვირა თვეში მშობლებს აქვთ დათმობილი, ორი დანარჩენი კვირა-კი იმავე ჰიტლერის საკუთრებაა. ამრიგად, ბავშვი მცირეწლოვანი მონაა. ის მუშაობს, ვარჯიშობს და დადის სამხედრო წესის მიხედვით, ივიწყებს ფიქრს.

სკოლაშიაც კი „ჰიტლერის დროა“ გაბატონებული. მასწავლებლებისათვის დანიშნულ ანკეტებში ოთხი მუხლია მხოლოდ:

„1. მემკვიდრეობითი მიდრეკილებანი და საერთო რასული სურათი.
2. პოლიტიკური რწმენა.
3. ფიზიკური შესაძლებლობანი.
4. ცოდნა“.

იცის თუ არა მათემატიკის მასწავლებელმა მათემატიკა — ეს უკანასკნელი საქმეა. უფრო მნიშვნელოვანია „საერთო რასული სურათი“ და „ფიზიკური შესაძლებლობანი“.

პროფესორი ლენარდი სახელმძღვანელოს „გერმანული ფიზიკის“ წინასიტყვაობაში სწერს:

„ეს მეტად არიული ფიზიკაა; მეცნიერებას ჰქმნის რასა და განსაზღვრავს სისხლის სიწმინდე“.

პროფესორი ერვინ გეკი „ნაციონალ-სოციალისტური აღზრდის უწყებაში“ სწერს:

„მათემატიკა,—ეს ჩრდილოური არიული სულის, მსოფლიოს, ბატონობისკენ მიმართული მისი ნებისყოფის გამოვლინებაა“.

ბავშვებს თავიდანვე ეუბნებიან:

„ომი უმხიარულესი საქმეა“, „გაიზრდები—მოჰკლავ ას მტერს“, „ფიურერს უყვარხართ შენ და ომი“.

მომხიბლავია ეს უკანასკნელი გამოთქმა. საზარბაზნედ განწირულს წინდაწინ აჩვევენ იმ აზრს, რომ კაციჭამიას უყვარს ადამიანის ხორცი.

ომამდე ორი წლით ადრე განათლების სამინისტრომ სკოლებს დაუგზავნა ვიტკოპის წიგნი: „სამხედრო წერილები“, როგორც ისეთი, რომელიც წამკითხველს მომავალ მოვალეობისათვის ამზადებს. აი როგორ არის ვიტკოპის წიგნში წარმოდგენილი ომი: „ჩვენ ძალიან ნაკლებად გვესვრიან ტყვიას. ჩვენ მიწურში ვსხედვართ. იქ კარგად ვართ მოწყობილი. პაპიროსს ვწევთ, ბევრს ვჭამთ და ვერთობით“...

პატარა ბავშვები მღერიან ლექსს. აი მისი სიტყვა-სიტყვითი თარგმანი:

„მთელი ქვეყანა რომ გადაიქცეს
ნანგრევად, ფერფლად,
— ეს ფეხებზედაც არ გვკიდია, არ
გვენაღვლება,
ჩვენ მაინც გავსწევთ ჩვენი მარშით
შეუჩერებლად,
რადგან ჩვენია დღეს — გერმანია,
ხვალ კი, მსოფლიოც ჩვენი იქნება“.

ეს ჰიტლერის ბავშვური ტიტინია.

1936 წელს გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით, „ჰიტლერის ახალგაზრდობაში“ არის თავისი არისტოკრატია — „ჰიტლერის ძირითადი ახალგაზრდობა“. ესენი გადარჩეული ეგზემპლიარები არიან, მომავალი ს. ს-ები. მათ უფლება აქვთ დასაჯონ სხვა ბავშვები, მათვე უნდა აცნობონ ყოველივე თავიანთ მშობლებზე და მასწავლებლებზე. „ძირითადებს“ ამზადებენ ჯაშუშებისა და ჯალათების პროფესიებისათვის.

თავის წიგნში „მაინ კამპფ“-ში ჰიტლერი ამბობს:

„ყოველი ადამიანი ისე უნდა აღვზარდოთ ,რომ იგი გრძნობდეს თავის უპირატესობას“.

ადამიანური სოლიდარობა, ამხანაგური გრძნობა, მოკრძალება განდევნილია ჰიტლერიიდან.

„ჰიტლერის ახალგაზრდობის“ მორალური პრინციპები გამოხატულია კაციჭამია ჰიტლერის გამოთქმებში:

„ჩვენ მკაცრი ადამიანები უნდა ვიყვნეთ სინდისის აუშფოთებლად — განვლო კეთილშობილი გრძნობების დრომ“.

„მე ვანთავისუფლებ ადამიანს ნამუსად წოდებულ დამამცირებელ ქიმერისაგან:

„ჩვენ აღვზრდით ახალგაზრდობას, რომლის წინაშეც მსოფლიო შედრკება, — უკმეხ ახალგაზრდობას, მომთხოვნელს, მკაცრს. მე ასე მწადიან. **მე მსურს, რომ ეს ახალგაზრდები ახალგაზრდა გარეულ მხეცებს ჰგავდნენ“.**

ჰიტლერმა სიყვარული რასული სქესობრივი აღრევით შესცვალა. ქორწინების ნაცვლად მან გერმანელ ქალებს შესთავაზა „ერთი ვაჟი ოც ქალიშვილზე“, მან მოსპო ოჯახი, წარიტაცა რა ბავშვები თავისთვის. მან სკოლა გასანადგურებლად გადასცა. მასწავლებელთა ადგილებზე სკოლებში უტვინო, სისხლისმსმელი ეფრეიტორები დასვა. დახავსებულ ნიცშეანელად მოვლენილმა, ჰიტლერმა გამოაცხადა „ახალი მორალი“ — ძარცვა-გლეჯის, წამების, მკვლელობის კულტი. ძალიან ძნელია ამ ადამიანების შეურაცხყოფა — ისინი თვით უწოდებენ თავიანთ თავს დაუნდობელს და უსინდისოს.

და აი 1941 წელს ს. ს-ები დაიძრნენ ჩვენს წინააღმდეგ. მათ, ალბათ, ჯერ კიდევ ახსოვთ სკოლაში მიღებული გაკვეთილები.

მათ ეუბნებოდნენ: „ჩვენ ნაკლებ გვესვრიან“.

მათ თმა ყალყზე დაუდგათ, როცა რუსთა ყუმბარებისა და გრანატების ხმა გაიგონეს.

ისინი ჩვენთან მოვიდნენ „ბარათებით კოცნაზე“. და საკმაოდ დიდი მადით. მათ ტყვიით შეხვდნენ. და მათ ერთბაშად ჩამოუშვეს ცხვირები.

როდესაც ისინი ტყვედ მოჰყავთ, წუწუნებენ: ეს არ გვინდოდაო. როდესაც მათ ჩვენი ტანკები უტევენ, ისინი ქუდმოგლეჯილნი გარბიან, სტოვებენ თავიანთ უფროსებს და საიდუმლო საბუთებს.

ახალგაზრდა მხეცები სხვადასხვანაირები არიან: არიან ახალგაზრდა ლომებიც და ახალგაზრდა ტურებიც. ჰიტლერის დამქაშები ტურებივით მშიშრები არიან. ისინი აღზარდეს დიდი მადის კაცებად და არა გამბედავ ადამიანებად.

ჰიტლერი შეშფოთებულია — ეყოლება თუ არა საკმაო ჯარისკაცები 1961 წლისთვის? იგი არ უმალავს თავის ოფიცრებს, რომ მისი ოცნება არის ომი, ომი ოცი წლის შემდეგაც, ომი დაუსრულებლად. მაგრამ ძნელი არც გიჟის დაწყნარება ყოფილა. და აი ჩვენი მებრძოლები საუცხოო დამაწყნარებელ პერანგს უმზადებენ ამ კაციჭამიას. 1961 წელს ადამიანები გაოცებულნი წაიკითხავენ ჩვენი დროის ამბებს. ისინი იკითხავენ: როგორ ითმენდა კაცობრიობა იმდენ წელიწადს ისეთ დამნაშავეს, როგორც ჰიტლერია? და როცა მივლენ იმ გვერდამდე, სადაც მოთხრობილი იქნება ჰიტლერიის აღსასრული, ჩვენი ბავშვები მოწიწებით ჩაუფიქრდებიან იმ წითელარმიელების გმირობას, რომელთაც ბოლო მოუღეს უსირცხვილო და უნამუსო ფაშიზმს.

(„პრავდა“).

სარედაქციო კოლეგია:
ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ს. ეული, გ. ლეონიძე, გ. ნატროშვილი, შ. რადიანი, ვ. წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი) ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 35521